განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ბიზნესის ადმინისტრირება, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

შპს ევრორეგიონული სასწავლო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი

23.05.2018
24.05.2018

დასკვნის წარდგენის თარიღი 29.06.2018

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
შემოსული № _____
_____ 20 წ.
ოქმის ნომერი: _____

თბილისი, 2018

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	**შპს ევროპეგიონული სასწავლო უნივერსიტეტი**
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	218030878
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	**ბიზნესის ადმინისტრირება**
განათლების საფეხური	**აკადემიური (ბაკალავრიატი)**
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	**ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი 02**
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	ავტორიზებული (აკრედიტირებული) პროგრამა აკრედიტებულია 408, 02/12/2011 გადაწყვეტილებით.

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი ღაღანიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დავით სიხარულიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თორნიკე გურული, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დავით ცირამუა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

შპს ევრორეგიონული სასწავლო უნიევრსიტეტის (შემდგომში - სასწავლო უნივერსიტეტი) ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის მიზანია ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე სპეციალისტების მომზადება, რომელთაც კარგად ესმით ბიზნესის არსი და ფლობენ სხვადასხვა ბიზნეს სიტუაციაში და ბიზნეს საკითხების მიმართ გამოყენებადი საშუალებებისა და მეთოდების ფართო სპექტრს. პროგრამის ხანგრძლივობა 4 აკადემიური წელი ანუ 8 სემესტრია და მოიცავს 240 კრედიტს. საბაკალავრო პროგრამით ბაკალავრის მომზადება მიმდინარეობს ძირითადი (სპეციალობის) ცოდნისა და დამატებითი (ხელშემწყობი) ცოდნის სასწავლო კომპონენტების მეშვეობით. ძირითადი ცოდნის საკითხებს მოიცავს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის საქმიანობისათვის აუცილებელი კომპეტენციების გამომუშავებისათვის საჭირო სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები და სავალდებულო საბაკალავრო ნაშრომი სპეციალობაში/პრაქტიკა. დამატებითი ცოდნის საკითხებს მოიცავს ბაკალავრის საქმიანობის ხელშემწყობი საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები და თავისუფალი კომპონენტები. "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო პროგრამა წარმოდგენილია შემდეგი სტრუქტურით: ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამა შედგება 240 კრედიტისგან, სადაც 215 - ძირითადი სპეციალობის (major) სავალდებულო კრედიტებია, აქედან: 180 - კრედიტი ძირითადი სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსებია, ხოლო 35 - კრედიტი ძირითადი სპეციალობის არჩევითი მოდულის კურსები (ასეთი ამ პროგრამაში ოთხი ძირითადი სპეციალობის მოდულია: საბუღალტრო აღრიცხვა; ფინანსები; მენეჯმენტი; მარკეტინგი, საიდანაც სტუდენტი ირჩევს რომელიმე მოდულს, მას ასევე შეუძლია სხვადასხვა მოდულის სასწავლო კურსების კომბინაციით განახორციელოს ინდივიდუალური პროფილის ფორმირება). დანარჩენი 25 კრედიტი - თავისუფალი კომპონენტების კრედიტია. ე.ი. სტუდენტს რომელიც სწავლობს ამ პროგრამაზე აქვს ორი მიმართულებით არჩევანის გაკეთების საშუალება: მას შეუძლია აირჩიოს ოთხი ძირითადი სპეციალობის მოდულიდან ერთი და ამ სპეციალობას დაეუფლოს ასევე შეუძლია პირველ და მეორე წელს გაიაროს ის სასურველი საგნები რომელიც ვერ მოხვდა ძირითადი საგნების ჩამონათვალში. პროგრამას ყავს სტუდენტები და კურსდამთავრებულები. პროგრამის კურსდამთავრებულებთან ინტერვიურებისას გაირკვა, რომ ისინი დასაქმებული არიან სხვადასხვა კომპანიებში, მათ შორის ზოგიერთი მათგანი თავად არის ბიზნესის მფლობელი და გამოთქვამენ მზადყოფნას ითანამშრომლონ უნივერსიტეტთან, კერძოდ უნივერსიტეტს შესთავაზონ მეტი პრაქტიკის ობიექტები. პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა გათვალისწინებულია უნივერსიტეტის ბიუჯეტში.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2018 წლის 23-24 მაისს. ვიზიტამდე, 22 მაისს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შეიკრიბა ექსპერტთა ჯგუფი (გიორგი ღაღანიძე, დავით სიხარულიძე, თორნიკე გურული, დავით ცირამუა) 10 საათზე და 2 საათამდე მიმდინარეობდა თვითშეფასების ანგარიშის განხილვა. ცენტრის მიერ მოწოდებული ფორმის მიხედვით განისაზღვრა ის აუცილებელი კითხვები, რომელიც დაისვა ვიზიტის მომენტში ინტერვიუს პროცესში პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

23 მაისს აღნიშნულ დაწესებულებაში ვიზიტის ფარგლებში 3:30 სთ-ზე დაწესებულების თბილისის შენობაში განხორციელდა სტუდენტებთან შეხვედრა და დაწესებულების მატერიალურ - ტექნიკური ბაზის დათვალიერება. ხოლო 24 მაისს 9 საათიდან დაიწყო სამუშაო შეხვედრა დაწესებულების გორის შენობაში პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ პირებთან. სამუშაო განრიგის მიხედვით შეხვედრა/გასაუბრება შედგა ადმინისტრაციასთან (რექტორი, დეკანი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი), თვითშეფასების ჯგუფთან, სტუდენტებთან, ფაკულტეტის წარმომადგენლებთან, დამსაქმებლებთან. ასევე ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა მატერიალურ-

ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, სააუდიტორიო ოთახები, ლაბორატორიები, კაბინეტები და ა.შ) დათვალიერება. სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთა ჯგუფის შეფასებითა და არსებულის წესის გათვალისწინებით პროგრამა საბოლოო ჯამში სტანდარტებთან ნაწილობრივ შესაბამისობაშია.უმეტეს შემთხვევაში ფიქსირდება ნაწილობრივ შესაბამისობა, თუმცა არსებობს მეტწილად შესაბამისობის და შესაბამისობის შემთხვევები. და პროგრამის ძლიერ მხარეებს უნდა მივაკუთვნოთ კურსდამთავრებულთა დამოკიდებულება უნივერსიტეტთან, ასევე უნდა აღინიშნოს ვიზიტის დროს წარმოდგენილი ფინანსური გათვლები, რომლებიც ცხადყოფს ადმინისტრაციის მუდმივ ზრუნვას ქონდეთ ფინანსურად მდგრადი პროგრამა. სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ცდილობს დანერგოს ხარისხის მართვის სტრატეგია, გარკვეული ნაბიჯები ამ მიმართულებით გადადგმულია. პროგრამის სუსტი მხარეა ინტერნაციონალიზაციის დაბალი დონე, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის დამოკიდებულება პროგრამისადმი. კონკრეტულად ეს გამოიხატებოდა პროგრამის პერსონალის მიერ სილაბუსების ფორმირების პროცესში, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ისინი სამომავლოდ არ აპირებდნენ ამ კურსების წაყვანას. აკადემიური პერსონალის ინტერნაციონალიზაციის მხარდაჭერა არ ატარებს სისტემურ ხასიათს.

სილაბუსების შესწავლისა და გასაუბრების შედეგად გამოვლინდა, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩამოთვლილი სწავლის მეთოდების უმრავლესობა არ გამოიყენება. კერძოდ, ლაბორატორიული, მოზაიკა, თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება, სტრატეგიული სწავლება, პრაქტიკული გამოცილება, და ა.შ.

უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამა მოქმედებს, ჰყავს სტუდენტები, როგორც თბილისში ასევე გორში, სტუდენტთა გარკვეული ნაწილი მიიჩნევს, რომ შესაძლებელია სწავლა ლექციებზე სიარულის გარეშე. ასევე გამოიკვეთა ერთი საინტერესო ფაქტი, ქართულენოვან პროგრამაზე სწავლობენ აზერბაიჯანის მოქალაქე აზერბაიჯანელი სტუდენტები (52 სტუდენტი). ამ სტუდენტებთან შეხვედრა ვერ უზრუნველყო სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ და გადმოაგზავნა ელექტრონულად მათი საკონტაქტო ინფორმაცია. რამოდენიმე სტუდენტთან შეეცადა ექსპეტთა ჯგუფი დაკავშირებას, რათა საინტერესო იყო მათი მოსაზრება სწავლების ხარისხთან და სტუდენტებისათვის სხვადასხვა ხელშემწყობი პირობების შექმნასთან და სხვა საკითხებთან დაკავშირებით. (მათ შორის ქართული ენის ფლობის დონესთან დაკავშირებით ინფორმაცია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში დაწესებულების მხრიდან ხელშეწყობის/ენის კომპეტენციის გაუმჯობესების პირობების შექმნის საკითხები) თუმცა, ვერცერთ სტუდენტთან ვერ შედგა კომუნიკაცია.

ან საერთოდ ვერ ფლობენპროგრამა უზრუნველყოფილია აკადემიური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით, არის სიცოცხლისუნარიანი და ექვემდებარება განვითარებას. პროგრამის შემდგომი განვითარებისათვის აუცილებელია ინტერნცაიონალიზაციის მკვეთრი ზრდა, პერსონალის რიცხოვნობის ზრდა, პროგრამის სასწავლო დისციპლინებში პრაქტიკული სწავლების ელემენტების გაძლიერება.

- **რეკომენდაციები**
- გაიზარდოს საგანმანათლებლო პროგრამის ინტერნაციონალიზაცია;
- დაზუსტდეს შრომის ბაზრის კვლევები, კონკრეტულ მოთხოვნებზე გასვლის აუცილებლობით.
  - რეკომენდირებულია ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაში დაზუსტდეს და მკაფიოდ განისაზღვროს ის სწავლის მეთოდები, რომელიც გამოიყენება სასწავლო კურსის სილაბუსებში.
  - რეკომენდირებულია საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურაში განხორციელდეს ცვლილება მისი გაუმჯობესების მიზნით, კერძოდ ფინანსების საფუძვლების ნაცვლად ისწავლებოდეს სასწავლო კურსი ,,ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები". ხოლო სასწავლო კურსი ,,ფინანსების საფუძვლები" ამოღებულ იქნას სწავლებიდან ზემოთ მოყვანილი მიზეზების საფუძველზე.
  - რეკომენდირებულია სასწავლო უნივერსიტეტს ჰქონდეს კონკრეტული სტრატეგია კურსდამთავრებულების დასაქმების ხელშეწყობის მიზნით.
  - რეკომენდებულია მეტად გააქტიურდეს პროგრამის პოტენციური დამსაქმებლების როლი პროგრამის შემუშავების პროცესში, სრულად იქნეს გამოყენებული მათი რესურსები პროგრამის განვითარებისათვის. მათ შორის პრაქტიკის ობიექტების სპექტრის გაზრდაში, სტუდენტებისათვის პრაქტიკოსებთან მეტი შეხვედრების ორგანიზებაში, მეტი სტაჟირებების შეთავაზებაში და ა.შ.
  - რეკომენდირებულია ზემოთ ჩამოთვლილი სასწავლო კურსების ფარგლებში გამოყენებულ იქნეს სწავლის ის მეთოდები, რომელიც ითვალისწინებს ამ სასწავლო კურსების სპეციფიკას.
  - რეკომენდირებულია სასწავლო კურსის ,,ადამიანური რესურსების მენეჯმენტი" წინაპირობად განისაზღვროს სასწავლო კურსი ,,მენეჯმენტის საფუძვლები"; ხოლო თვითონ კურსი არჩევითიდან გადავიდეს სავალდებულო დისციპლინებში.
  - რეკომენდირებულია სასწავლო კურსის ,,პრაქტიკული ბუღალტერია" წინაპირობად განისაზღვროს ,,სასწავლო კურსები ფინანსური აღრიცხვა და ბუღალტრული აღიცხვა"
  - რეკომენდირებულია სასწავლო კურსების ფარგლებში მისი სპეციფიკაციის გათვალისწინებით უზრუნველყოფილ იქნას სხვადასხვა სახის ინფორმაციული ტექნოლოგიებით სწავლება, რაც კურსდამთავრებულის კონკურენტუნარიანობას აამაღლებს შრომის ბაზარზე.
  - პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფილ იქნეს სასწავლო კურსების რეალური არჩევითობა; სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა თავად აირჩიონ არჩევითი სასწავლო კურსები; უნდა მოხდეს არჩევითი კურსების დამატება და ამავდროულად უზრუნველყოფილი იქნას სტუდენტების მიერ არჩეული კურსების რეალურად გავლა. ეს აუცილებელია რათა სტუდენტებმა შეძლონ რეალურად აირჩიონ სასწავლო კურსები;
  - შეიქმნას სტუდენტთა დასაქმებისა და კარიერული განვითარების რეალური და მოქმედი მექანიზმები;
  - დაიხვეწოს სასწავლო პროცესის მართვის პროცესისათვის გამოყენებული ელექტრონული სისტემა;
  - ჩამოყალიბდეს და ამოქმედდეს სტუდენტთა შეფასებების მონიტორინგის სისტემა და უზრუნველყოფილ იქნეს სტუდენტთა კონსულტირება მიღწეული შედეგების გაუმჯობესების მიზნით;
  - გაიზარდოს აკადემიური პერსონალის ჩართულობა სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობს პროცესში და სტუდენტებს მიეწოდოთ დამატებითი ინფორმაცია აღნიშნული შესაძლებლობების შესახებ;

- გაძლიერდეს კვლევითი კომპონენტი სტუდენტურ სწავლებაში, როგორც, სასწავლო პროგრამის ფარგლებში, ასევე სხვა ფორმებითაც, კერძოდ წახალისდეს სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა;
- გაიზარდოს პრაქტიკული კომპონენტის მოცულობა და დაწესებულებამ უზრუნველყოს სტუდენტთათვის პრაქტიკის კომპონენტის თანაბარი ხელმისაწვდომობა, ვინაიდან არსებული ვითარებით სტუდენტები თვითონ ზრუნავენ პრაქტიკის ობიექტებზე პრაქტიკის გავლაზე;
- შემუშავდეს და სტუდენტებს გაეცნოს სტუდენტური ინიციატივებისა და პროექტების დაფინანსების წესი, დაწესებულების ბიუჯეტიდან გამოიყოს კონკრეტული თანხა;
- პროგრამის ფარგლებში გაძლიერდეს უცხოენოვანი კომპონენტის სწავლება;
- შემუშავდეს და სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში;
- გაიზარდოს ისეთი აქტივობების რაოდენობა, რომელიც ორიენტირებული იქნება ისეთი დამატებითი უნარების განვითარებაზე სტუდენტებში, რომელიც ხელს შეუწყობს მათი დასაქმების ინტერაციონალიზაციას;
- უნივერსიტეტში შემუშავდეს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა და შესაბამისი ნაბიჯები აისახოს სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში;
- რეკომენდებულია კონკრეტულ სასწავლო კურსების სილაბუსებში მენეჯმენტის საფუძვლები, ოპერაციული მენეჯმენტი, საინოვაციო მენეჯმენტი, ადამიანური რესურსების მენეჯმენტი, პროექტის მენეჯმენტი, რისკ-მენეჯმენტი დაკონკრეტდეს, როგორც სილაბუსის ავტორი, ასევე მისი წამკითხველი პერსონალი.
- რეკომენდირებულია გაძლიერდეს სასწავლო უნივერსიტეტში კვალიფიკაციის ამაღლებისა და პროფესიული განვითარების ხელშემწყობი მექანიმიზი, რაც უზრუნველყოფს მისი კონკურენტუნარიანობის გაძლიერებას.
- რეკომენდირებულია ზოგიერთი სასწავლო კურსის ფარგლებში შეთავაზებული ლიტერატურის განახლება.
- მიზანშეწონილია კრედიტების გაანგარიშების სისტემის სრულყოფა საგნის შინაარსის თავისებურებებისა და საშუალო აკადემიური მოსწრების სტუდენტის მიერ მისი ათვისების სირთულის გათვალისწინებით.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
  - სასურველია შრომის ბაზრის სიღრმისეული კვლევის ჩატარება შრომის ბაზარზე არსებული ტენდენციების შესახებ მკაფიო წარმოდგენის მიზნით, რაც უმაღლესი განათლების სივრცეში სწორად პოზიციონირების შესაძლებლობას გაზრდის.
  - ვინაიდან სწავლება მიმდინარეობს ორ სასწავლო კორპუსში (ქ. გორი და ქ. თბილისი), სასურველია ვებ-გვერდზე განთავსდეს ორივე ლოკაციის სასწავლო ცხრილი.
  - პრაქტიკის კომპონენტის უზრუნველყოფისათვის დაწესებულებას გაფორმებული აქვს ურთიერთგაგების მემორანდუმები, სასურველი იქნება, თუკი მემორანდუმებში დაკონკრეტდება რა რაოდენობის სტუდენტზე აიღებს პასუხისმგებლობას ორგანიზაცია;
  - სასურველია შეთავაზებული სილაბუსის დამხმარე ლიტერატურაში ინგლისურენოვანი ლიტერატურის შეთავაზება;

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

1.1 პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, ნათლად არის ჩამოყალიბებული, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და მიღწევადია
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი შპს ევრორეგიონული სასწავლო უნივერსიტეტის მისიაა ხელი შეუწყოს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების პრინციპის განხორციელებასა და უმაღლესი განათლების სფეროში განათლების ხარისხის განვითარებას. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურზე ევროპული დონის უმაღლესი განათლების შეთავაზებას ბიზნეს ადმინისტრირების, ჯანდაცვის, სოციალური მეცნიერებების, სამართლის, აგრარული მეცნიერებების, ჰუმანიტარული მეცნიერებების მიმართულებით. სასწავლო უნივერსიტეტი წარმოადგენს სტუდენტების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, ადმინისტრაციული აპარატის მჭიდრო კავშირს, რომელთა ერთობლივი თანამშრომლობითაც იქმნება უმაღლესი აკადემიური განათლებისა და სასწავლო-სამეცნიერო კვლევებისათვის შესაბამისი პირობები. უნივერსიტეტი დაფუძნებულია ავტონომიურობისა და აკადემიური თავისუფლების პრინციპებზე. მისიიდან გამომდინარეობს ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამის მიზანი, რომელიც შემდეგნაირად არის ფორმულირებული ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე სპეციალისტების მომზადება, რომელთაც კარგად ესმით ბიზნესის არსი და ფლობენ სხვადასხვა ბიზნეს სიტუაციაში და ბიზნეს საკითხების მიმართ გამოყენებადი საშუალებებისა და მეთოდების ფართო სპექტრს. ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამის მიზნები ნაწილობრივ შესაბამისობაშია მისიასთან. მიზნის მისაღწევად აუცილებელია ინტერნაციონალიზაციის ელემენტების ზრდა. წინააღმდეგ შემთხვევაში ძნელად მისაღწევი იქნება საერთაშორისო დონეზე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების ჩამოყალიბება. პროგრამის მომზადებასა და გაუმჯობესებას საფუძვლად ედო შრომის ბაზრის შესწავლა. შრომის ბაზრის კვლევა ძირითადად დაფუძნებული იყო პირველადი მონაცემების წყაროებზე. შრომის ბაზრის კვლევის პროცესში ჩართული ის კომპანიები, რომელთანაც სასწავლო უნივერსიტეტს აქვს გაფორმებული ურთიერთ თანამშრომლობის მემორანდუმი. მთლიანობაში სამმა კომპანიამ მიიღო მონაწილეობა კვლევაში, რაც ართულებს სრული წარმოდგენის შექმნას შრომის ბაზარზე არსებული ტენდენციის შესახებ. ასეთ პირობებში საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მიღწევა რთული იქნება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ შპს ევრო რეგიონალური სასწავლო უნივერსიტეტის მისია; ○ "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; ○ საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულება; ○ გასაუბრება უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან; ○ მონაცემები შრომის ბაზრის კვლევის შედეგების შესახებ;
რეკომენდაციები:

აუცილებელია ინტერნაციონალიზაციის დონის ზრდა

საჭიროა შრომის ბაზრის უფრო დეტალური კვლევების ორგანიზება

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია შრომის ბაზრის სიღრმისეული კვლევის ჩატარება შრომის ბაზარზე არსებული ტენდენციების შესახებ მკაფიო წარმოდგენის მიზნით, რაც უმაღლესი განათლების სივრცეში სწორად პოზიციონირების შესაძლებლობას გაზრდის.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

✓ ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის კომპონენტის (სასწავლო კურსი, მოდული და სხვა) შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ამ კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების შინაარსობრივი თანმიმდევრობა ლოგიკურია და ორიენტირებულია სტუდენტის კომპეტენციების განვითარებაზე. საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამის თითოეული კომპონენტი აღწერილია სილაბუსში, რომელშიც მოცემულია სასწავლო კურსის მიზანი, შინაარსი, სწავლისა და სწავლების მეთოდები, სწავლისათვის ლიტერატურის ჩამონათვალი, სწავლის შედეგები და ცოდნის შეფასების პროცესის დეტალური აღწერა. ცალკეული სასწავლო კურსის მიზანი და შედეგები გამომდინარეობს პროგრამის საკვალიფიკაციო ჩარჩოდან. პროგრამაში ძირითადად გამოყენებულია სწავლების შემდეგი მეთოდები: სალექციო მეთოდი, ვერბალური (სალექციო), ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი: დისკუსია/დებატები, ჯგუფური მუშაობა, მუშაობა მცირე ჯგუფებში, წიგნზე მუშაობა, ლაბორატორიული, პრაქტიკული მეთოდები, ლოგიკური ჯაჭვი (მოსაზრება, მიზეზი, მაგალითი, შეჯამება), მოზაიკა, პრობლემის გადაჭრა, სადისკუსიო პრობლემის/თემების განხილვა, დაიკავეთ პოზიცია, ტესტური სწავლება, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება, სტრატეგიული სწავლება, სასწავლო პრაქტიკა, პრაქტიკული გამოცილება,

ევრისტიკული, შემთხვევის ანალიზი (Case study), გონებრივი იერიში (Brain storming), გამოცდილებითი სწავლება, მოქნილი სწავლება, როლური და სიტუაციური თამაშები, დემონსტრირება, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი, ახსნა-განმარტებითი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, დისტანციური სწავლება, კომუნიკაციური მიდგომა, დავალებაზე დაფუძნებული სწავლება. **თუმცა, სილაბუსების შესწავლისა და გასაუბრების შედეგად გამოვლინდა, რომ ზემოთ ჩამოთვლილი სწავლის მეთოდების უმრავლესობა არ გამოიყენება. კერძოდ,** ლაბორატორიული, მოზაიკა, თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება, სტრატეგიული სწავლება, პრაქტიკული გამოცდილება, და ა.შ.

საბაკალავრო პროგრამის აბსოლუტურად ყველა სასწავლო კურსის მოცულობა განისაზღვრება 5 კრედიტით. კრედიტების განაწილების რაიმე კონკრეტული მექანიზმი სასწავლო უნივერსიტეტს არ გააჩნია, რაც გულისხმობს სასწავლო კურსის შინაარსის თავისებურების, სწავლის მეთოდებისა და საშუალო მონაცემების სტუდენტის შესაძლებლობების გათვალისწინებას. გასაუბრებისას, გაირკვა, რომ კრედიტების მინიჭება ხდება აკადემიურ პერსონალთან მსჯელობის შედეგად. მიზანშეწონილი იქნება კრედიტების გაანგარიშების სისტემის სრულყოფა საგნის შინაარსის თავისებურებებისა და საშუალო აკადემიური მოსწრების სტუდენტის მიერ მისი ათვისების სირთულის გათვალისწინებით. .

მტკიცებულებები/ინდიკატორები

-

რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაში დაზუსტდეს და მკაფიოდ განისაზღვროს ის სწავლის მეთოდები, რომელიც გამოიყენება სასწავლო კურსის სილაბუსებში.
- მიზანშეწონილია კრედიტების გაანგარიშების სისტემის სრულყოფა საგნის შინაარსის თავისებურებებისა და საშუალო აკადემიური მოსწრების სტუდენტის მიერ მისი ათვისების სირთულის გათვალისწინებით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ ☐ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.3 პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის სათანადო დონით

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს ენიჭება ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი 240 ECTS კრედიტის დაგროვების შემდეგ, რომელიც ნაწილდება შემდეგნაირად: პროგრამის სავალდებულო კომპონენტებსა (180 კრედიტი) და არჩევით კომპონენტებს (25 კრედიტი) შორის ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის კომპეტენციების თანმიმდევრული ფორმირების აუცილებლობიდან გამომდინარე. პროგრამის სტრუქტურა წარმოდგენილია შემდეგი სახით:

- ძირითადი სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები - 180 კრედიტი
- ***სპეციალობის მენეჯმენტის არჩევითი მოდული - 35 კრედიტი***
- ***ძირითადი (major) სპეციალობის ფინანსების არჩევითი მოდული - 35 კრედიტი***
- ***ძირითადი (major) სპეციალობის საბუღალტრო აღრიცხვის არჩევითი მოდული - 35 კრედიტი***
- ***ძირითადი (major) სპეციალობის მარკეტინგის არჩევითი მოდული - 35 კრედიტი***
- **საუნივერსიტეტო არჩევითი სასწავლო კურსები - 25 კრედიტი**

საბაკალავრო პროგრამა იწყება ძირითადი ცოდნის საფუძვლების შექმნით ანუ სპეციალობის იმ სავალდებულო სასწავლო კურსების შესწავლით, რომლებიც წარმოადგენს სპეციალობის სხვა სასწავლო კურსების შესწავლის წინაპირობას. გარდა ამისა, საბაკალავრო პროგრამის დასაწყისში გათვალისწინებულია ინგლისური ენის (მათ შორის, ბიზნეს ინგლისური ენა) და საინფორმაციო ტექნოლოგიების სავალდებულო სასწავლო კურსების შესწავლა, რაც ხელს უწყობს ინგლისურენოვანი (მათ შორის სპეციალური) ლიტერატურით და ინტერნეტ-რესურსებით სარგებლობას. პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა ნაწილობრივ უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას, თუმცა პროგრამის ზოგიერთი კომპონენტის მიმართ გაგვაჩნია კონკრეტული მოსაზრებები:

- საბაკალავრო პროგრამის მიხედვით სასწავლო კურსი „ფინანსების საფუძვლები“ ისწავლება მესამე სემესტრში. გამოყენებული ლიტერატურის (ი. მესხია, დ ჭიოტაშვილი საჯარო ფინანსები, გადასახადები და ბიუჯეტი“ თბ. 2012წ.) სწავლის შედეგებისა და შინაარსი მიხედვით მოცემული სასწავლო კურსი ძირითადად ფოკუსირებულია საჯარო ფინანსების შესწავლაზე. მიშინ როდესაც, მეექვსე სემესტრში ისწავლება ფინანსების მოდულის სასწავლო კურსი საჯარო ფინანსები, რომელიც გამოყენებული ლიტერატურის (ხანთაძე გ. ცაავა გ. „საჯარო ფინანსები“ თბ. 2013წ.) სწავლის მიზნისა, შედეგებისა და შინაარსის მიხედვით მსგავსია სასწავლო კურსის‘, ფინანსების საფუძვლების“. ფინანსების მოდულში მეშვიდე სემესტრში ასევე ისწავლება სასწავლო კურსი ,,ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები“, რომელიც თავისი შინაარსიდან გამომდინარე, სასურველია ისწავლებოდეს მესამე სემესტრში სასწავლო კურსის

ფინანსების საფუძვლების ნაცვლად. სასწავლო კურსების დუბლირების შესახებ ანიშნავდნენ სტუდენტებიც გასაუბრებისას.

- ასევე აუცილებელია „ადამიანური რესურსების მენეჯმენტის“ სასწავლო კურსის გადატანა არჩევითიდან სავალდებულო დისციპლინებში, მითუმეტეს ამ შემთხვევაში, როცა პროგრამის დასაქმების ერთ ერთ სფეროში წერია „ადამიანური რესურსების მენეჯერი“ .
- გარდა ამისა სწავლის ერთ-ერთი შედეგია „სწავლისა და კვლევის პროცესში თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, არსებული უახლესი ელექტრონული რესურსების შემოქმედებითად გამოყენების უნარი“ თუმცა სასწავლო კურსების ანალიზისას და ასევ სტუდენტებთან გასაუბრებისას გამოვლინდა, რომ მის ნაკლებობას განიცდიან და მხოლოდ პრეზენტაციისას აუცილებელი ტექნოლოგიებით შემოიფარგლებიან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო პროგრამა;
- "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიურება პროგრამის სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან;

რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურაში განხორციელდეს ცვლილება მისი გაუმჯობესების მიზნით, კერძოდ ფინანსების საფუძვლების ნაცვლად ისწავლებოდეს სასწავლო კურსი ,,ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები“. ხოლო სასწავლო კურსი ,,ფინანსების საფუძვლები“ ამოვარდეს სწავლებიდან ზემოთ მოყვანილი მიზეზების საფუძველზე.
- სასწავლო კურის „ადამიანური რესურსების მენეჯმენტი“ გადავიდეს სავალდებულო ნაწილში და დაზუსტდეს მისი წინაპირობები.
- რეკომენდირებულია სასწავლო კურსების ფარგლებში მისი სპეციფიკაციის გათვალისწინებით უზრუნველყოფილ იქნას სხვადასხვა სახის ინფორმაციული ტექნოლოგიებით სწავლება, რაც კურსდამთავრებულის კონკურენტუნარიანობას აამაღლებს შრომის ბაზარზე.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ ☐ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.4 პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას საგანმანათლებლო (განათლების შემდგომ საფეხურზე) და დასაქმების ბაზარზე

საბაკალავრო პროგრამაში „ბიზნესის ადმინისტრირება“ ფორმულირებულია სწავლების შედეგები, რომელიც აღწერს თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას და უნარებს, რომელთა დემონსტრირების საშუალება ექნებათ კურსდამთავრებულებს პროგრამის დასრულების შემდეგ. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში არის აღწერილი თუ რას უნდა ფლობდნენ კურსდამთავრებულები, მოცემულია დასაქმების სფეროები, სადაც კურსდამთავრებულებს შეუძლიათ დასაქმდნენ. დასაქმების შესაძლო სექტორებია, როგორც საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურები და კერძო ბიზნესი, ასევე უცხოურ-ქართული ერთობლივი საწარმოები, ცალკეული მოდულების საგნების გავლის მიხედვით ბაკალავრს შეუძლია დაიკავოს სპეციალისტის ან ქვედა და საშუალო დონის მენეჯერის პოზიცია ასე მაგალითად: 1. საფინანსო სამსახურის უფროსი, ფინანსების მენეჯერი, საკრედიტო ოფიცერი, საკრედიტო ანალიტიკოსი და სხვა. 2. შესყიდვების მენეჯერი, ბუღალტერი, აუდიტორი და სხვა. 3. გაყიდვების მენეჯერი, მარკეტელოგი, გაყიდვების ანალიტიკოსი და სხვა. 4. ფილიალის მენეჯერი, პროექტების მენეჯერი, აუდიტორი, ადამიანური რესურსების მენეჯერი და ა.შ.

- აღსანიშნავია, რომ სასწავლო უნივერსიტეტი ყოველწლიურად ატარებს კვლევას კურსდამთავრებულთა მიერ სწავლის გაგრძელებისა და დასაქმების ტენდენციის გამოსავლენად. დამსაქმებლებთან და სტუდენტებთან საუბრისას გაირკვა, რომ სტუდენტთა დიდი ნაწილი დასაქმებულია და თუმცა მათ დასაქმებაში სასწავლო უნივერსიტეტის როლი არ არის მნიშვნელოვანი. როგორც კურსდამთავრებულებმა და სტუდენტებმა აღნიშნეს, მათი დასაქმება ძირითადად ხდება მათივე ძალისხმევით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო პროგრამა;
- "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიურება პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიურება პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- ინტერვიურება პოტენციურ დამსაქმებლებთან;
- ინტერვიურება პროგრამის ხელმძღვანელთან;
- კურსდამთავრებულების გამოკითხვისა და შრომის ბაზრის ანალიზი;

რეკომენდაციები:

- **რეკომენდირებულია სასწავლო უნივერსიტეტს ჰქონდეს კონკრეტული სტრატეგია კურსდამთავრებულების დასაქმების ხელშეწყობის მიზნით.**

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

○

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.5 პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრისა და პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებლები, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები) მონაწილეობის მექანიზმი შემუშავებულია და ხორციელდება

სასწავლო უნივერსიტეტში შემუშავებულია და მოქმედებს პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრისა და პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის მექანიზმი, კერძოდ, "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო პროგრამის შემუშავებისას განხილვებში ჩართულნი იყვნენ უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, ფაკულტეტის სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო პროგრამის შემუშავების მიზანშეწონილობის, მისი აქტუალობის დადგენისა და მოწინავე გამოცდილების გაზიარების მიზნით. თუმცა,

- პროგრამის პოტენციური დამსაქმებლების როლი პროგრამის შემუშავების პროცესში სუსტია. პოტენციურ დამსაქმებლებთან თანამშრომლობა განისაზღვრება ურთიერთგაგების მემორანდუმებით. გასაუბრებაში მონაწილეობდა სამი დამსაქმებელი, რომელთანაც თანამშრომლობის დიდი ხნის გამოცდილება არ გააჩნია. მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპზე

მათი როლი უმნიშვნელოა პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და მათ ობიექტებზე სასწავლო პრაქტიკის გავლით კუთხით, ისინი მზად არიან სასწავლო უნივერსიტეტთან მჭიდრო თანამშრომლობისათვისა. მეტად იქნეს გამოყენებული მათი რესურსები პროგრამის განვითარებისათვის, მათ შორის პრაქტიკის ობიექტების სპექტრის გაზრდაში, სტუდენტებისათვის პრაქტიკოსებთან მეტი შეხვედრების ორგანიზებაში, მეტი სტაჟირებების შეთავაზებაში და ა.შ.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ საბაკალავრო პროგრამის ადმინისტრირების მიზნით ტარდება მონიტორინგი ანონიმური გამოკითხვის და ანკეტირების მეთოდით. ხდება საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსობრივი მხარის და სასწავლო პროცესის შეფასება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო პროგრამა;
- პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიურება პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიურება პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- ინტერვიურება პოტენციურ დამსაქმებლებთან;
- ინტერვიურება პროგრამის ხელმძღვანელთან;
- კურსდამთავრებულების გამოკითხვისა და შრომის ბაზრის ანალიზი;

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია მეტად გააქტიურდეს პროგრამის პოტენციური დამსაქმებლების როლი პროგრამის შემუშავების პროცესში, სრულად იქნეს გამოყენებული მათი რესურსები პროგრამის განვითარებისათვის. მათ შორის პრაქტიკის ობიექტების სპექტრის გაზრდაში, სტუდენტებისათვის პრაქტიკოსებთან მეტი შეხვედრების ორგანიზებაში, მეტი სტაჟირებების შეთავაზებაში და ა.შ.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ ☐ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა			X	

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

2.1 პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, რაც ემსახურება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას
ბიზნესი ადმინისტრირების საბაკლავრო პროგრამაზე დაიშვება სრული ზოგადი განათლების მქონე პირი, რომელსაც ჩაბარებული აქვს ერთიანი ეროვნული გამოცდები. ასევე ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. საბაკალავრო პროგრამაზე შესაძლებელია შიდა ან გარე მობილობის წესით ჩარიცხვა სტუდენტის მიერ ათვისებული პროგრამისა და "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო პროგრამის თავსებადობის დადგენისა და შესაბამისი კრედიტების აღიარებით გზით. ინფორმაცია პროგრამაზე დაშვების წინაპირობების შესახებ საჯაროა და განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო პროგრამა; ○ "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიურება პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; ○ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი - https://sdasu.edu.ge/.
რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება ✓ ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას
პროგრამის კომპონენტების ფარგლებში ძირითადად გამოიყენება შემდეგი სწავლების მეთოდები: ჯგუფური მუშაობა და აზრთა გაცვლა, სალექციო მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი. დისკუსია. ანალიზი და სინთეზი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი. ზოგიერთ შემთხვევაში პროგრამის სასწავლო კურსებში გამოყენებული სწავლის მეთოდები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას, თუმცა ზოგიერთ სასწავლო კურსთან დაკავშირებით გაგვაჩნია შემდეგი მოსაზრება. კერძოდ სასწავლო კურსებში ,,ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები“, ,,ინვესტიციები“, ,,საერთაშორისო ფინანსები“ გამოიყენება სწავლის შემდეგი **მეთოდები სალექციო მეთოდი, დისკუსია/დებატები, ჯგუფური მუშაობა, წიგნზე მუშაობა, დემონსტრირება. ამ სასწავლო კურსების სილაბუსებში გამოყენებული სწავლების მეთოდების განმარტებიდან გამომდინარე რთულია განსაზღვრო როგორ უზრუნველყოფენ პრაქტიკული უნარების გამომუშავებას, რის ნაკლებობასაც თავად სტუდენტებიც აღნიშნავდნენ გასაუბრებისას.** **სილაბუსების შესწავლისა და გასაუბრების შედეგად გამოვლინდა, რომ პროგრამაში მოცემული სწავლის მეთოდების უმრავლესობა არ გამოიყენება. კერძოდ,** ლაბორატორიული, მოზაიკა, თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება, სტრატეგიული სწავლება, პრაქტიკული გამოცდილება, და ა.შ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო პროგრამა; ○ "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;

- ინტერვიურება პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიურება პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- ინტერვიურება პროგრამის ხელმძღვანელთან;

რეკომენდაციები:

რეკომენდირებულია ზემოთ ჩამოთვლილი სასწავლო კურსების ფარგლებში გამოყენებულ იქნეს სწავლის ის მეთოდები, რომელიც ითვალისწინებს ამ სასწავლო კურსების სპეციფიკას.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

o

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

o

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3 პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურია

საბაკალავრო პროგრამა უნდა ითვალისწინებდეს სასწავლო კურსების ისეთ თანმიმდევრულ სისტემას, რომელიც მიმართული იქნება პროგრამაში დასახული მიზნების მიღწევაზე და უნდა უზრუნველყოფდეს იმ კომპეტენციების გამომუშავებას, რომელიც შესაბამისობაში იქნება ბაკალავრის საფეხურისათვის. მისაღწევი კომპეტენციების ფორმირების ლოგიკური თანმიმდევრობა განსაზღვრავს საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურას და სასწავლო გეგმას. შესაბამისად საბაკალავრო პროგრამა იწყება ძირითადი სპეციალობის სავალდებულო მოდულის შეთავაზებით და სრულდება ძირითადი სპეციალობის არჩევითი მოდულობის შეთავაზებით. კომპონენტების ლოგიკური თანმიმდევრობა განისაზღვრება სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობით. საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს სთავაზობენ ძირითადი სპეციალობის მენეჯმენტის არჩევით მოდულს, ***ძირითადი სპეციალობის ფინანსების არჩევით მოდულს, ძირითადი სპეციალობის საბუღალტრო აღრიცხვის არჩევით მოდულს, ძირითადი სპეციალობის***

მარკეტინგის არჩევით მოდულს.

მომდევნო სემესტრებში ხდება უკვე მიღებული ცოდნის საფუძველზე სტუდენტის ახალი კომპეტენციების შეძენა და არსებულის განვითარება, რაც ხდება საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმაში სავალდებულო კომპონენტის (სასწავლო კურსები და პრაქტიკა) და არჩევითი კომპონენტების (არჩევითი სასწავლო კურსების კრედიტები) მეშვეობით და მათი შესწავლის წინაპირობების გათვალისწინებით.

ამასთან, პროგრამის და ასევე ზოგიერთი კომპონენტის მიმართ გაგვაჩნია, კონკრეტული მოსაზრებები, კერძოდ:

- **სასწავლო კურსის „ფინანსური ინსტიტუტებისა და ბაზრების“ წინაპირობად განსაზღვრულია სასწავლო კურსი „ფინანსების საფუძვლები“, რომელიც თავისი შინაარსიდან გამომდინარე ვერ იქნება სასწავლო კურსის „ფინანსური ინსტიტუტებისა და ბაზრების წინაპირობა, გარდა ამისა 1.3 სტანდარტში უკვე აღვნიშნეთ, რომ სასწავლო კურსი „საჯარო ფინანსების“ და „ფინანსების საფუძვლები“ შინაარსის, სწავლის მიზნებისა და შედეგების მიხედვით მსგავსია.**
- **სასწავლო კურსის „ადამიანური რესურსების მენეჯმენტი“ წინაპირობის გარეშეა, თუმცა სასურველია მის წინაპირობად განისაზღვროს მენეჯმენტის საფუძლები;**
- **სასწავლო კურსის** „პრაქტიკული ბუღალტერია“ წინაპირობის გარეშეა. თავისი შინაარსიდან გამომდინარე სასურველია მის წინაპირობად განისაზღვროს „სასწავლო კურსები ფინანსური აღრიცხვა და ბუღალტრული აღიცხვა“

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო პროგრამა;
- "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიურება პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიურება პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- ინტერვიურება პროგრამის ხელმძღვანელთან;

რეკომენდაციები:

- **რეკომენდირებულია სასწავლო კურსის „ადამიანური რესურსების მენეჯმენტი“ წინაპირობად განისაზღვროს სასწავლო კურსი „მენეჯმენტის საფუძვლები“;**
- **რეკომენდირებულია სასწავლო კურსის „პრაქტიკული ბუღალტერია“ წინაპირობად განისაზღვროს სასწავლო კურსები „ფინანსური აღრიცხვა“ და „ბუღალტრული აღრიცხვა“**

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის

შემთხვევაში) ○
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ ☐ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 სტუდენტის შეფასების მეთოდები საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება შეფასების შედეგებით
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება ხდება 100-ქულიანი (max 100 ქულა) სისტემით. სასწავლო კომპონენტის შეფასების ფორმებია შუალედური და დასკვნითი შეფასება. სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასება (ქულა) წარმოადგენს შუალედური და დასკვნითი შეფასებების ფორმებში მიღებული ქულების ჯამს. შეფასების ფორმები, კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი ასახულია ყოველი სასწავლო კურსის სილაბუსში.შეფასების მეთოდები ძირითადად შეესაბამება სასწავლო დისციპლინების თავისებურებებს და ამდენად შესაძლებელია სწავლის შედეგების გაზომვა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო პროგრამა; ○ "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიურება პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ○ ინტერვიურება პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; ○ ინტერვიურება პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სტუდენტის ცოდნის შეფასებისას გამოიყენება გამჭვირვალე კრიტერიუმები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებებისა და გაუმჯობესების გზების შესახებ
საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში გამოყენებული სტუდენტის ცოდნის შეფასების კრიტერიუმები, ფორმები და წესები მიმართულია სწავლის შედეგების მიღწევაზე, შეფასების შედეგები ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, ლექტორები უტარებენ სტუდენტებს კონსულტაციებს, რაც სასწავლო პროცესის დაწყებისთანავე კონსულტაციების ცხრილშია გათვალისწინებული. შეფასების ფორმები და კრიტერიუმები ასახულია სასწავლო კომპონენტების პროგრამებში (სილაბუსებში), რომელიც საჯარო და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო პროგრამა; ○ "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიურება პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ○ ინტერვიურება პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; ○ ინტერვიურება პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება ✓ ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

3.1 სტუდენტი იღებს თავისი პროფილის განსაზღვრის, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად აუცილებელ ინფორმაციას, კონსულტაციასა და დახმარებას
დაწესებულება პროგრამის ფარგლებში ნაწილობრივ უზრუნველყოფს სტანდარტით მოთხოვნილ აქტივობათა დაგეგმვა/განხორციელებას. მართალია, სტუდენტები იღებენ თავიანთი პროფილის განსაზღვრისათვის აუცილებელ ინფორმაციას, თუმცა დაწესებულებაში მოუწესრიგებელია სასწავლო პროცესის დაგეგმვის პროცედურები, კერძოდ: სტუდენტები აცხადებენ, რომ მათ არ ეძლევათ არჩევითი საგნის არჩევის საშუალება. გარდა ამისა, არსებობს ზოგიერთი საგნის სწავლების შუა სემესტრში შეწყვეტის პრეცედენტიც. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუმ ასევე ცხადყო, რომ დაწესებულება ვერ უზრუნველყოფს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისათვის ისეთი სერვისების შეთავაზებას, რომელიც ხელს შეუწყობს მათ მიღწევების გაუმჯობესებაში, მაგ.: დასაქმებისა და კარიერული განვითარების სერვისები, ვორქშოპები, ტრენინგები და ა.შ. სასწავლო პროცესის დაგეგმვის ნაწილში გამოიყენება ელექტრონული საინფორმაციო სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მიმდინარე და მიღებულ შეფასებებზე წვდომას. სისტემა მუშაობს ხარვეზებით და სჭირდება განვითარება (ვიზიტის ფარგლებში ვერ მოხერხდა სტუდენტის ანგარიშიდან მიმდინარე სემესტრის საგნის სილაბუსის დათვალიერება - სისტემა ავტომატურად აგდებდა სტუდენტს ბაზიდან). დაწესებულების წარმომადგენლების ინფორმაციით, პროგრამის ფარგლებში ხდება სალექციო პროცესის მონიტორინგი, თუმცა არ ხდება სტუდენტთა მიღწევების (შეფასებების) მონიტორინგი, სტუდენტებმა ინტერვიურების დროს აღნიშნეს, რომ - ისინი არ ღებულობენ სასწავლო პროცესის დაგეგმისა და მიღწევების გაუმჯობესებისათვის საჭირო კონსულტაციებსა და დახმარებას. 2
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებული ინფორმაცია ○ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულება ○ საინფორმაციო ბაზა (ersu.sytes.net)
რეკომენდაციები: • პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფილ იქნეს არჩევითობა; სტუდენტებს მიეცეთ

შესაძლებლობა თავად აირჩიონ არჩევითი სასწავლო კურსები;

- შეიქმნას სტუდენტთა დასაქმებისა და კარირული განვითარების რეალური და მოქმედი მექანიზმები;
- დაიხვეწოს სასწავლო პროცესის მართვის პროცესისათვის გამოყენებული სისტემა;
- ჩამოყალიბდეს და ამოქმედდეს სტუდენტთა შეფასებების მონიტორინგის სისტემა და უზრუნველყოფილ იქნეს სტუდენტთა კონსულტირება მიღწეული შედეგების გაუმჯობესების მიზნით;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- ვინაიდან სწავლება მიმდინარეობს ორ სასწავლო კორპუსში (ქ. გორი და ქ. თბილისი), სასურველია ვებ-გვერდზე განთავსდეს ორივე ლოკაციის სასწავლო ცხრილი.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ ☐ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 დაწესებულების აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში გათვალისწინებულია სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობა

დაწესებულების აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში გათვალისწინებულია სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობა და კონსულტაციების გაწევა, მათ შორის აფილირების ხელშეკრულება აკადემიურ პერსონალს ვალდებულს ხდის გასწიოს მსგავსი ტიპის მუშაობა.

აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთა ინტერვიუსას გამოიკვეთა, რომ მათი უმრავლესობის საუნივერსიტეტო საქმიანობა შემოიფარგლება მხოლოდ სალექციო პროცესში ჩართულობით, მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალის უმრავლესობა არ იცნობს ხელშეკრულების დეტალებს და არ არის ინფორმირებული მისი მოვალეობების შესახებ.

სტუდენტებთან ინტერვიუს პროცესში, სტუდენტთა ნაწილი აცხადებდა, რომ ლექტორებთან ინდივიდუალურადაც მუშაობდნენ კურსების ფარგლებში, თუმცა უმრავლესობა მათგანს არასდროს უსარგებლია აღნიშნული სერვისით/დახმარებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სააკრედიტაციო ვიზიტისას მიღებული ინფორმაცია
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულება
- აკადემიური პერსონალის აფილირების წესი და პირობები

რეკომენდაციები:

- გაიზარდოს აკადემიური პერსონალის ჩართულობა სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობს პროცესში და სტუდენტებს მიეწოდოთ დამატებითი ინფორმაცია აღნიშნული შესაძლებლობების შესახებ;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ ☐ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.3 დაწესებულება ხელს უწყობს სტუდენტის ჩართვას კვლევითი პროექტების განხორციელებაში, პრაქტიკული უნარების განმავითარებელ კომპონენტებსა და კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებაში

დაწესებულება ნაწილობრივ უწყობს ხელს სტუდენტთა ჩართვას კურიკულუმს გარე აქტივობების დაგეგმვაში, მათ შორის მცირეა კვლევითი და პრაქტიკული კომპონენტი. გარდა ამისა, უნივერისტეტი ვერ უზრუნველყოფს სტუდენტთა ინიციატივების ჯეროვან მხარდაჭერას.

სასწავლო პროგრამა და ზოგადად, პროგრამის მიღმა დაგეგმილი პროექტები მხოლოდ მცირე დოზით ითვალისწინებს კვლევითი კომპონენტის გაძლიერებას. მცირეა სტუდენტთა ჩართულობა ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში, პროგრამის შესაბამისი სასწავლო კურსი არ იძლევა საშუალებას სტუდენტებში განავითაროს კვლევითი უნარ-ჩვევები (აკადემიური წერის კურსი ვერ უზრუნველყოფს შესაბამის შედეგებზე გასვლას).

დაწესებულებამ პროგრამის სუსტ მხარედ წარმოაჩინა პრაქტიკული კომპონენტის სიმცირე და აღნიშნა, რომ მუშაობენ მეტი პრაქტიკული კომპონენტის ინტეგრირებაზე. თუმცა, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუსას გამოიკვეთა, რომ არათუ სამომავლო პრაქტიკის კომპონენტები, არამედ არსებული პროგრამის სავალდებულო პრაქტიკის კომპონენტი ყველა სტუდენტს არ გაუვლია.

დაწესებულებამ განაცხადა, რომ ბიუჯეტში სტუდენტთა ინიციატივების დაფინანსებისათვის შესაბამისი თანხები გამოყოფილია, მათ შორის, ვიზიტის პერიოდისათვის გამოცხადებული იყო საგრანტო კონკურსი, რომლის ფარგლებშიც სტუდენტებსა და პროფესორებს შეეძლოთ პროექტის/ინიციატივის წარდგენა და დაფინანსების მოპოვება (აღნიშნული ფაქტი მოგვიანებით გადამოწმდა დაწესებულების ვებ-გვერდზე და გაირკვა, რომ საგრანტო კონკურსი განკუთვნილია მხოლოდ აკადემიური პერსონალისათვის) აღნიშნული შესაძლებლობის შესახებ ინფორმირებული იყო აკადემიური პერსონალის ნაწილი, სტუდენტები არ ფლობდნენ ინფორმაციას არც მიმდინარე საგრანტო კონკურსზე და მათ შორის არ იცნობდნენ მექანიზმებს, როგორ შეეძლოთ თავიანთი იდეების/ინიციატივების განხორციელება უნივერსიტეტის ფინანსური მხარდაჭერით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სააკრედიტაციო ვიზიტისას მიღებული ინფორმაცია
- დაწესებულების ვებ-გვერდი
- თვითშეფასების დოკუმენტი

რეკომენდაციები:

- **გაძლიერდეს კვლევითი კომპონენტი სტუდენტურ სწავლებაში, მათ შორის, სასწავლო პროგრამის ფარგლებში;**
- **გაიზარდოს პრაქტიკული კომპონენტის მოცულობა და დაწესებულებამ უზრუნველყოს სტუდენტთათვის პრაქტიკის კომპონენტის თანაბარი ხელმისაწვდომობა;**

  შემუშავდეს და სტუდენტებს გაეცნოს სტუდენტური ინიციატივებისა და პროექტების დაფინანსების წესი, დაწესებულების ბიუჯეტიდან გამოიყოს კონკრეტული თანხა;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- პრაქტიკის კომპონენტის უზრუნველყოფისათვის დაწესებულებას გაფორმებული აქვს ურთიერთგაგების მემორანდუმები, სასურველი იქნება, თუკი მემორანდუმებში დაკონკრეტდება რა რაოდენობის სტუდენტზე აიღებს პასუხისმგებლობას ორგანიზაცია;

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ ☐ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.4 დაწესებულება ორიენტირებულია სწავლების, სამეცნიერო მუშაობისა და კურსდამთავრებულთა დასაქმებულობის ინტერნაციონალიზაციაზე
დაწესებულება ვერ უზრუნველყოფს სწავლებისა და კურსდამთავრებულთა დასაქმებულობის ინტერნაციონალიზაციას, ნაწილობრივ უზრუნველყოფილია სამეცნიერო მუშაობის ინტერნაციონალიზაცია აკადემიური პერსონალისათვის). სასწავლო პროგრამის ფარგლებში ინგლისური ენის სწავლების კომპონენტი ძალიან მცირეა (მათ შორის, დაგეგმილი კურსებისათვის კვირაში დათმობილია მხოლოდ სამი საათი). სასწავლო უნივერსიტეტი სტუდენტებს ვერ სთავაზობს საერთაშორისო აკადემიურ გაცვლით პროგრამებს. სტუდენტები მსგავს შესაძლებლობებზე ინფორმაციას არ ფლობენ, თუმცა თვლიან, რომ აუცილებლად ისარგებლებდნენ აღნიშნული პროგრამით შეთავაზების შემთხვევაში. სტუდენტები ასევე არ არიან ჩართული სამეცნიერო მუშაობაში, არათუ საერთაშორისო კონფერენციებსა და კვლევებში, არამედ ქართულენოვან კონფერენციებშიც. დაწესებულება უზრუნველყოფს მხოლოდ აკადემიური პერსონალის სამეცნიერო მუშაობის გარკვეულ ინტერნაციონალიზებას, თუმცა არც მათ სთავაზობს საერთაშორისო აკადემიურ გაცვლით პროგრამებს. საუბარია გარკვეულ სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობაზე, რომლებიც ატარებდნენ არასისტემურ ხასიათს. ასევე არ გამოიკვეთა უცხოელი პერსონალთან თანამშრომლობა სასწავლო/სამეცნიერო მუშაობაში. პროგრამის შედეგები და დაწესებულების მიერ დამატებით დაგეგმილი აქტივობები არ იძლევა საშუალებას სტუდენტი დასაქმდეს საერთაშორისო ბაზარზე ან ადგილობრივ დონეზე წარმოდგენილ არაქართულენოვან ორგანიზაციაში. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული განვითარების დოკუმენტში ასახული არ არის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა და მისაღწევი შედეგები/მიზნები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სააკრედიტაციო ვიზიტისას მიღებული ინფორმაცია ○ დაწესებულების ვებ-გვერდი

- პერსონალის ინიციატივებისა და პროექტების წარდგენისა და დაფინანსების წესი
- სტრატეგიული განვითარების დოკუმენტი

რეკომენდაციები:

- **პროგრამის ფარგლებში გაძლიერდეს უცხოენოვანი კომპონენტის სწავლება;**
- **შემუშავდეს და სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში;**
- **გაიზარდოს ისეთი აქტივობების რაოდენობა, რომელიც ორიენტირებული იქნება ისეთი დამატებითი უნარების განვითარებაზე სტუდენტებში, რომელიც ხელს შეუწყობს მათი დასაქმების ინტერაციონალიზაციას, პირველ რიგში უნდა გაძლიერდეს სტუდენტთა გაცვლით პროგრამებში ჩართულობა, ასევე გაძლიერდეს აკადემიური პერსონალის გაცვლითი პროგრამების ამოქმედება და მათი მხარდაჭერა სამეცნიერო კონფერენციებზე მონაწილეობაში, ასევე, უცხოელ პარტნიორებთან თანამშრომლობა სხვადასხვა მემორანდუმის პირობებში;**
- **უნივერსიტეტში შემუშავდეს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა და შესაბამისი ნაბიჯები აისახოს სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში;**

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ ☐ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები,			X	

მათთან ინდივიდუალური მუშაობა				

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

4.1 დაწესებულების ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი დაწესებულების ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. ვიზიტის დროს ექსპერტები გაეცნენ უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურას, სათანადო ინვენტარით აღჭურვილ სასწავლო აუდიტორიებს, ბიბლიოთეკას, აკადემიური პერსონალის სამუშაო ოთახებს, კომპიუტერულ რესურს–ცენტრებს, ინტერნეტის წვდომის საშუალებებს და სხვა ტექნიკურ აღჭურვილობას, რომლებიც შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებსა და უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. ექსპერტების მიერ შერჩევით მოხდა სილაბუსში მითითებული ძირითადი ლიტერატურის ბიბლიოთეკაში დათვალიერება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება ადგილზე; ○ გასაუბრება უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან; ○ "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში; ○ გასაუბრება პროგრამის სტუდენტებთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 კომპონენტის განმახორციელებელი პირი თავად ფლობს შეთავაზებული კომპონენტის სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელ კომპეტენციებს, რაც დგინდება: აკადემიური პერსონალის შემთხვევაში - ბოლო 10 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომით (სახელოვნებო მიმართულებებში - შემოქმედებითი პროექტით), რომელიც ადასტურებს შესაბამის დარგში მის კომპეტენტურობას; ხოლო მოწვეული პერსონალის ან მასწავლების შემთხვევაში - შეიძლება დადასტურდეს პრაქტიკული გამოცდილებით

„ბიზნესის ადმინისტრირების“ საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამაში მონაწილეობს უნივერსიტეტის 5 აფილირებული, მათ შორის 2 პროფესორი და 3 ასოცირებული პროფესორი. მთლიანობაში პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 3 სრული პროფესორი, 8 ასოცირებული პროფესორი და 14 მოწვეული სპეციალისტი. პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირთა უმრავლესობის კვალიფიკაცია და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული მიზნების მიღწევასა და შეთავაზებული კომპონენტის სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელ კომპეტენციებს.

თუმცა, პროგრამის შემოწმებისას გამოიკვეთა, რომ პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსების გარკვეულ ჯგუფში, კერძოდ, **მენეჯმენტის საფუძვლები, ოპერაციული მენეჯმენტი, საინოვაციო მენეჯმენტი, ადამიანური რესურსების მენეჯმენტი, პროექტის მენეჯმენტი, რისკ-მენეჯმენტი მითითებული იყო მხოლოდ ერთი პროფესორი, შესაბამისად არსებული ჩანაწერით ერთ პროფესორზე 6 საგანი მოდიოდა წასაკითხად,** თუმცა პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიურებისას დაზუსტდა, რომ სილაბუსებში მითითებული პროფესორი მხოლოდ ავტორია აღნიშნული სილაბუსის და მათ განხორციელებაში რეალურად ჩართულია სხვა პროფესორებიც. გამომდინარე, აქედან მიგვაჩნია, რომ საჭიროა პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული იყოს არა მარტო სილაბუსის ავტორი, არამედ მისი წამკითხველი პერსონალიც.

ბიზნესის ადმისნიტრირების საბაკალავრო პროგრამაზე სულ 189 აქტიური სტუდენტია. სტუდენტების მოცემული რაოდენობიდან გამომდინარე თანაფარდობა პერსონალთან ლოგიკურია.

გასაუბრებისას გამოვლინდა, რომ სასწავლო უნივერსიტეტს არ გააჩნია რაიმე თანმიმდევრული მექანიზმი, რომელიც ხელ შეუწყობს პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებას და პროფესიული განვითარებას. კვალიფიკაციის ამაღლებას და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა ატარებს ფრაგმენტულ და სპორადულ ხასიათს. თუმცა ასევე გასაუბრებისას გაირკვა, რომ უნივერსიტეტის

ადმინისტრაციის მიერ შემუშავებული სტრატეგიულ გეგმა ითვალისწინებს სამომავლოდ კვალიფიკაციის ამაღლებას და პროფესიული განვითარების მექანიზმის დანერგვას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

-

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია კონკრეტულ სასწავლო კურსების სილაბუსებში მენეჯმენტის საფუძვლები, ოპერაციული მენეჯმენტი, საინოვაციო მენეჯმენტი, ადამიანური რესურსების მენეჯმენტი, პროექტის მენეჯმენტი, რისკ-მენეჯმენტი დაკონკრეტდეს, როგორც სილაბუსის ავტორი, ასევე მისი წამკითხველი პერსონალი.
- რეკომენდირებულია გაძლიერდეს სასწავლო უნივერსიტეტში კვალიფიკაციის ამაღლებისა და პროფესიული განვითარების ხელშემწყობი მექანიმიზი, რაც უზრუნველყოფს მის კონკურენტუნარიანობის გაძლიერებას.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ ☐ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 პროგრამის განხორციელება ხელშეწყობილია სათანადო კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით

ექსპერტების ადმინისტრაციასთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ პროგრამის განხორციელების ხელშეწყობა უზრუნველყოფილია სათანადო კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. უნივერსიტეტის პერსონალი (მათ შორის, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული სერვისი და სხვ.) უზრუნველყოფს სტუდენტების ინფორმირებას საბაკალავრო პროგრამასთან და სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე, ეხმარებიან მათ სწავლის პროცესში შექმნილი პრობლემების გადაჭრაში. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 4 პროფესორი, 7 ასოცირებული პროფესორი და 11 მოწვეული სპეციალისტი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიურება საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან;
- "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;

ინტერვიურება პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

✓ ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 სასწავლო მასალა დაფუძნებულია მიმართულების/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას

სასწავლო მასალა მეტწილად დაფუძნებულია მიმართულების/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და შესაბამისად, უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო კურსების უმეტეს სილაბუსებში ძირითად და დამატებით მოცემულია ქართულენოვანი სასწავლო მასალა. ვინაიდან პროგრამაში შეთავაზებულია ინგლისურ ენის სიღრმისეული სწავლება (30 კრედიტის ფარგლებში) ამიტომ ინგლისურის ენის პრაქტიკული კუთხით ჩართულობისა და თანამედროვე უცხოენოვანი ლიტერატურის გაცნობის მიზნით სასურველია შეთავაზებული სილაბუსის დამხმარე ლიტერატურაში ინგლისურენოვანი ლიტერატურის მეტი შეთავაზება. გარდა ამისა სასწავლო კურსების სილაბუსების ანალიზისას გამოვლინა, რომ ზოგიერთ სასწავლო კურსი უზრუნველყოფილია ძველი ლიტერატურით. **მაგალითად, ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები (გამოყენებული ლიტერატურა: ლ. ბახტაძე, „ფინანსური ბაზარი“ თბ.2007წ.); კორპორაციათა ფინანსები** (კაკულია რ. ბახტაძე ლ. თუთბერიძე გ. – „კორპორაციის ფინანსები“– თბილისი, 2009წ. ზემოაღნიშნული ლიტერატურა ხელმისაწვდომია როგორც უნივერისტეტის ბიბლიოთეკებში, ასევე საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკაში) ; პრაქტიკული მენეჯმენტი (თ. ღამბაშიძე. ნ.ფარესაშვილი. პრაქტიკული მენეჯმენტი. თბ. 2008); საინოვაციო მენეჯმენტი (აბრალავა ა., გვაჯაია ლ., ქუთათელაძე რ., - „ საინოვაციო მენეჯმენტი“, თბილისი, 2009 წ.); ასევე მოძველებულია ელექტრონული მარკეტინგის სასწავლო ლიტერატურა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- ინტერვიურება ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიურება პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;

რეკომენდაციები:

- **რეკომენდირებულია ზოგიერთი სასწავლო კურსის ფარგლებში შეთავაზებული ლიტერატურის განახლება.**

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია შეთავაზებული სილაბუსის დამხმარე ლიტერატურაში ინგლისურენოვანი ლიტერატურის შეთავაზება;

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ ☐ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.5 არსებობს პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სასწავლო უნივერსიტეტის საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტისათვის იქმნება ყოველწლიურად ბიუჯეტი, რომელშიც ასახულია შემოსავლები და ხარჯები. სასწავლო უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმის მიხედვით ბიუჯეტში გაწერილია ის მუხლები, რომელიც ორიენტირებულია პროგრამის განვითარებასა და გაუმჯობესებაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან;
- უნივერსიტეტის საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტის 2018 წლის ბიუჯეტი.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

✓ ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		X		

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

5.1 მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც ითვალისწინებს "დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე„ ციკლს
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და პროცედურები ექვემდებარება შემდეგ პრინციპებს: „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე". უმაღლესი სასწავლებელი უზუნველყოფს პროგრამის შემუშავების პროცესს, აფასებს პროგრამას, სილაბუსებს, ამტკიცებს პროგრამას და ანვითარებს მას. გამოიკვეთა ის გარემოება, რომ დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, განვითარების ეფექტური მექანიზმების შექმნას ისახავდა მიზნად და განვითარების სტატეგიებს სახავდა. სტუდენტები იხსენებენ შემთხვევებს, როდესაც მათ მიერ მიცემული უკუკავშირის შედეგად მოხდა სასწავლო კურსის შინაარსის ცვლილება. კურსდამთავრებულები ასევე აღნიშნავდნენ, რომ მათი გამოკითხვები საფუძვლად ედებოდა გარკვეულ გადაწყვეტილებებს. შედარებით უფრო სუსტია დამსაქმებელთა ჩართულობა პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში, აღნიშნული საკითხზე ყურადღების გამახვილება ეფექტური იქნება პროგრამის განვითარებისათვის სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ნერგავს ახალ სტრატეგიას, რაც წაადგება სასწავლო უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის ამაღლებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების კითხვარი, თანდართული დოკუმენტაცია ○ ვიზიტისას მიღებული ინფორმაცია
რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია შემუშავდეს სპეციალური მექანიზმები, რომლებიც გაზრდიან დამსაქმებელთა ჩართულობას ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

○

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○

შეფასება

✓ ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 შიდა და გარე შეფასება გამოყენებულია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

○ უმაღლეს სასწავლებელში იყენებენ შეფასების სხვადასხვა მეთოდს: კურსებისა და ლექტორების შეფასება. ხარისხის სამსახურის თანამშრომლები ლექტორებთან ინდივიდუალურად პერიოდულად განიხილავენ გამოკითხვათა შედეგებს. უმაღლეს დაწესებულებას აქვს ორი შენობა, რომელიც ორ ქალაქში მდებარეობას და ორივე შენობაში მიმდინარეობს სასწავლო პროცესი. ორივე შენობაში არის განთავსებული ხარისხის მართვის მიმართულებით პასუხისმგებელი პირის ოფისები. გარე შეფასების სისტემა უფრო ნაკლებად გამოიყენება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

○ ვიზიტისას მიღებული ინფორმაცია
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია სასწავლო უნივერსიტეტმა შეიმუშავოს გარე შეფასების მოქნილი სისტემა, გაზარდოს ძალისხმევა ამ მიმართულებით და გამოყოს მეტი ფინანსური რესურსები ამ მიმართულებაზე.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება ✓ ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 36

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა			X	
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა			X	
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		X		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა

სახელი, გვარი, ხელმოწერა

სახელი, გვარი, ხელმოწერა

სახელი, გვარი, ხელმოწერა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: შპს ევრორეგიონალური სასწავლო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 38

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა			X	
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა			X	
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		X		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის</u>

სახელი, გვარი, ხელმოწერა

სახელი, გვარი, ხელმოწერა

სახელი, გვარი, ხელმოწერა

სახელი, გვარი, ხელმოწერა